

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 8

ქ.თბილისი

14.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯოდმარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ -- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტაენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეგაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

**ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;  
**ნათელა სახოვია** - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

**მაია გელაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

**ანა ლელაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

**თამარ აფრასიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ირმა შიოშვილი - რექტორი;  
ნუნუ გელდიშვილი - რექტორის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი;  
ნინო კოჭლოშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ნინო მოდებაძე - ხარისხის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი;  
შალვა ჭვადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ჯემალ ძაგანია - რექტორი;  
ელისო მურვანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;  
მანანა მნათობიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- რამაზ ქურდაძე
- ნინო პოპიაშვილი
- ირინა ლობჟანიძე
- მაკა გველესიანი
- ივანე აბიათარი
- გიორგი ფიჩხაია
- სალომე ხუბულავა



საბჭოს სხდომა დაიწყო 15:32 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ორაკლი ბურდულმა.


საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი გენეტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხის: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი გენეტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო




უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. დღის წესრიგის ცვლილების მიზეზი იყო ის, რომ თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა ითხოვა წარმოების შეწყვეტა აღნიშნულ პროგრამებზე, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ითხოვა პროგრამის განხილვის გადადება. ამასთანავე, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა, საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესულიყო 2018 წლის 7 თებერვლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, ექსპერთა არ ყოფნის გამო გადადებული სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი



1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;


პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკის კოდის მითითებით	ფილოლოგის დოქტორი 1005
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტის განცხადებით პირველი სტანდარტი გახლდათ შეუსაბამო მოთხოვნებთან ხოლო მეორე სტანდარტი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს, აღნიშნულიდან გამომდინარე საბოლოო დასკვის სახით პროგრამა ვერ აკმაყოფილზდა სტანდარტით დასახულ მოთხოვნებს. პირველი სტანდარტი გახლდათ - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლების შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით, აუცილებელი იყო მომხდარიყო პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება. პროგრამაში შესული იყო - ქართული ლიტერატურა და ტიპოლოგიური ლინგვისტიკა. რეკომენდაციის მიხედვით პროგრამაში უნდა შესულიყო ან ქართული




ენა და ლიტერატურა ან ტიპოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობა. უნდა მომხდარიყო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ბლოკიდან მთარგმნელობითი საქმიანობის ამოღება, რადგან მთარგმნელობითი საქმიანობა არ წარმოადგენდა პროგრამის მიზანს. ამასთანავე უნდა მომხდარიყო პროგრამის სტრუქტურისა და მასში გაწერილი კურსების გამართვა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარების მიზნით. რეკომენდაციები 1.2 პუნქტთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: პროგრამის ზოგადი კურსები ჩანაცვლებული უნდა ყოფილიყო პროგრამისათვის მიღებული და ადეკვატური კურსებით. მაგალითად - დიგიტალური ჰუმანიტარია, ჰუმანიტარული მეცნიერების კვლევის მეთოდები, ლიტერატურის თეორია, ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა. ამასთანავე, უნდა მომხდარიყო კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსების შეტანა და გადახედილიყო სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. სილაბუსები გათავისუფლებულიყო თემატიკის განმეორებისაგან.

ექსპერტის მიერ ხაზი გაესვა დოქტორანტის ხვედრითი წილის დაზუსტების საკითხს ხელმძღვანელთან თანაავტორობით ნაშრომის არსებობისას. ამასთანავე საათების რაოდენობის შემცირების საჭიროებას ენის სწავლებისა და პედაგოგიკის კუთხით და მენეჯმენტის კურსის ჩანაცვლებას პროგრამისათვის რელევანტური კურსით. 1.3 პუნქტში არსებობდა ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა პროგრამაზე კვლევითი მეთოდოლოგიის უნარების გამომუშავების ნაწილის დახვეწის. ხოლო 1.4 პუნქტში აქცენტი კეთდებოდა პროგრამის პრაქტიკული ასპექტის გაუმჯობესებაზე ლინგვისტური და ლიტერატურული მეთოდოლოგიის დახვეწით. უნდა გაუმჯობესებულიყო სილაბუსები და მოსულიყო შესაბამისობაში სწავლების მესამე საფეხურთან - დოქტურანტურასთან. საფუძვლებზე თრიენტირებულ კურსებს ჩანაცვლებოდა ქვედარგების გაღრმავებულ ცოდნაზე თრიენტირებული კურსები. ამასთანავე, სწავლის შედეგებში გათვალისწინებული მთარგმნელობითი საქმიანობა ამოღებულ ყოფილიყო პროგრამიდან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა რომ პროგრამა არ მოდიოდა შესაბამისობაში პირველ სტანდარტთან.

საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ, როგორც ექსპერტები აცხადებდნენ არათანაბრად იყო წარმოდგენილი ფილოლოგიის დარგის ქვეშ გაერთიანებული ქვედარგები ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და ქართული ლიტერატურა, და სთავაზობდებდნენ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურით ან ლიტერატურათმცოდნეობით და ტიპოლოგიური ლინგვისტიკით შეცვლას, რასაც უნივერსიტეტის წარმომადგენელი უპასუხებდა სამართლებრივი და შინაარსობრივი ჭრილიდან. სამართლებრივი ჭრილის თვალსაზრისით, ერთი დარგის ქვეშ ზემოთ მოცემული ორი ქვედარგის გაერთიანება სამართლებრივ ნორმებს არ ეწინააღმდეგებოდა. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ეს არჩევანი სრულ შესაბამისობაში იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ფილოლოგიის ქვედარგებს წარმოადგენდა ლინგვისტიკაც და ქართული ლიტერატურაც, ამიტომ შეუსაბამობაზე




აპელირება უსაფუძვლო იყო, რადგან თავად კანონი ანიჭებდა მათ ქვედარგობის ძალას და ის თუ რომელ ქვედარგებს აარჩევდა უნივერსიტეტი, სამართლებრივად მათი გადასაწყვეტი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მათი უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილებით, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა აერთიანებდა საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ 22 ქვედარგს. თუმცა ეს კანონთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა. მან დაამატა, რომ ექსპერტების შეთავაზება რეალურად გულისხმობდა ახალი პროგრამების შექმნას, რისი რესურსიც უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართული ენის სადოქტორო პროგრამა, ფილოლოგიის დეპარტამენტში, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებდა, თუმცა გამოცდილებამ აჩვენა, რომ დასაქმების კუთხით მოთხოვნადი არ აღმოჩნდა, ვიწრო კონცენტრაციის გამო. ახალი გამოწვევების და ტენდენციების გათვალისწინებით 2011-2012 წლებში, ქართული ფილოლოგიისა და უცხოური ფილოლოგიის დეპარტამენტების ბაზაზე შექმნილი იყო ინოვაციური სადოქტორო პროგრამა - ტიპოლოგიური ლინგვისტიკა. ხოლო 2013 წელს ის გაერთიანდა უკვე მოქმედ სადოქტორო პროგრამასთან - ქართულ ლიტერატურასთან, რაც აკრედიტაციაზე წარდგენილ იქნა ერთი ქუდის ქვეშ. ყოველივე აღნიშნულმა უბიძგა უნივერსიტეტს უახალესი პროგრამის არსებული ფორმულირებით წარდგენისაკენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ტიპოლოგიური ლინგვისტიკის მოთხოვნა და აქტუალურობა შრომის ბაზარზე. მან ასევე დასძინა, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა აკადემიური ლიდერისა და პედაგოგის მომზადება, ხოლო უნივერსიტეტში არსებული გამოცდილება ცხადყოფდა, რომ ამ მიზანს დოქტორანტები წარმატებით აღწევდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ ისინი რჩევებს სთხოვდნენ უცხოელ მეცნიერებსაც, რომლებიც სტუმრობდნენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მაგალითისათვის მოყვანილ იქნა რამდენიმე წლის წინანდელი დადებითი გამოხმაურება ამერიკელი პროფესორისგან აღნიშნული პროგრამის მიმართ. უნივერსიტეტმა განზრახ შექმნა ტიპოლოგიური ლინგვისტიკის პროგრამა. მათ 2007-2008 წლებში შექმნეს სამაგისტრო პროგრამა ტიპოლოგიურ ლინგვისტიკასა და მთარგმნელობით საქმეში და რადგანაც პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა, უნივერსიტეტმა ჩათვალა, რომ ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა შექმნილიყო სადოქტორო პროგრამაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მხრიდან ქართული ენის ლიტერატურის ნაცვლად ლიტერატურათმცოდნეობის შეთავაზება ბუნდოვანი იყო, რადგან ეს უკანასკნელი შინაარსით ბევრად უფრო ფართო იყო, ხოლო აღნიშნული უნივერსიტეტს დააყენებდა ისეთი ამოცანების წინაშე, რომლებიც ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავს შეაკავებინებდა. ამასთანავე, წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი არ იკვლევდნენ ლინგვისტიკის ყველა მიმართულებას და შეჯერებულნი იყვნენ ტიპოლოგიურ ლინგვისტიკაზე. გარდა ამისა, ქართული ლიტერატურის სიფართოვიდან გამომდინარე საკვლევად იქნა შერჩეული მინიატურული პროზა.



დაწესებულება ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტებს იმაში, რომ დარღვეული იყო სტანდარტის მოთხოვნები.

საბჭოს თავჯდომარემ პკითხა ექსპერტებს, ერჩივნათ შეპასუხებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს თუ დაასრულებინებდნენ მათ პასუხს და ამის შემდეგ არჩევდნენ საუბარს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათთვის უმჯობესი იყო რეკომენდაციებს გაჰყოლოდნენ. საბჭოს თავჯდომარე ექსპერტს დაეთანხმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაციებზე არანაირი პასუხი არ მიუღიათ, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ პქონდათ კომუნიკაცია ცენტრთან იმის თაობაზე, თუ რა სახის პასუხის დაბრუნება შეიძლებოდა ექსპერტებისათვის, რაზეც ცენტრის მხრიდან მიიღეს პასუხი, რომ უკუკავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ არსებულ უზუსტობებში და არა შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, რომლის მაგალითიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოჰყავდათ, შეუსაბამობა არ არსებობდა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და ურჩია უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მათაც გაეთვალისწინებინათ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნები. ჩარჩო სთავაზობდათ ქართულ ფილოლოგიას, ინგლისურ ფილოლოგიას და ა.შ. ხოლო ქართული ენის ჩაშლის შემდეგ ჩნდებობდა ქართული ლიტერატურა და ქართული ენა. მან თქვა, რომ სწორედ ეს იყო შეთავაზების მოტივი. მან დაამატა, რომ ტიპოლოგური ლინგვისტიკა, რომელიც მოცემული იყო პროგრამაში, საერთოდ არ იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოში. მან ჩამოთვალა საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემცველობა, სადაც არ ფიქსირდებოდა ტიპოლოგიური ლინგვისტიკა.


დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა ჭკადუამ განაცხადა, როცა ეყრდნობოდნენ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, უფრო მეტად იყო გასათვალისწინებელი მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამის სახელწოდება არ ნიშნავდა იგივე სახელწოდების კვალიფიკაციის მინიჭებას. სათაურში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არც ლინგვისტიკა და არც შედარებითი ენათმეცნიერება არ იძლეოდა იმ დიაპაზონს რასაც იძლეოდა ტიპოლოგიური ლინგვისტიკა. ტიპოლოგიური ლინგვისტიკა იძლეოდა შესაძლებლობას მსოფლიოს ნებისმიერი ენის განხილვისა, მაშინ როდესაც მაგალითად შედარებითი ენათმეცნიერება უფრო კონკრეტული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი სთავაზობდნენ სტუდენტებს კვლევების შესაძლებლობებს სხვადასხვა ენებში, იმ ფარგლებში რაც უნვერსიტეტის შესაძლებლობებს არ აღემატებოდა. ეს ენები იყო - ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა მხარეებს გადასულიყვნენ მომდევნო საკითხზე და შეახსენა რეგლამენტის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი დაიწყო ექსპერტთა მეორე რეკომენდაციაზე, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით ცვლილებებთან დაკავშირებით. იმისათვის რომ დოქტორანტს შეძლებოდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და კვლევითი უნარების გაუმჯობესება, სთავაზობდნენ არაერთ აქტივობას,



მაგალითად ანალიტიკური რეფერატების მომზადებას. დოქტორანს ევალებოდა რეფერატის მომზადება სწორედ კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. ამასთანავე, დოქტორანტის ევალებოდა კვლევების შემუშავება და ახალი ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციითურთ. ყველაფერს ემატებოდა პროფესორის ასისტენტობაც, რაც ითვალისწინებდა დოქტორანტის მხრიდან პროფესორისათვის საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში დახმარებას. ამასთანავე, დოქტორანტები თანამშრომლობდნენ სკოლებთან და მოსწავლეებს ურჩევდნენ საინტერესო თემებს და უნივერსიტეტს გააჩნდა კონფერენცია „სკოლა და უნივერსიტეტი“, რომელიც 4-ჯერ ჩატარდა და რომელშიც ჩართულნი იყვნენ სკოლები კახეთიდან, თბილისიდან და ბათუმიდან. ამით დოქტორანტი კვლევით კომპონენტს ავითარებდა საკუთარ თავში და აჩვევდა იგივეს მოსწავლესაც.


დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც დოქტორანტი ირიცხებოდა სადოქტორო საფეხურზე იგი ფლობდა მონაცამებისა და თემების დამუშავების უნარებს გარკვეულწილად წინა საფეხურებიდანაც, ამიტომაც უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული კვლევითი აქტივობები საკმარისი იყო. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას მთარგმნელობოთი საქმიანობის პროგრამიდან ამოღების შესახებ, პროგრამა არ ითვალისწინებდა თარგმანმცოდნის მომზადებას და აღნიშნული წარმოადგენდა ცალკე ქვედარებს. მათ კურსდამთავრებულს ექნებოდა პრაქტიკული უნარი განეხორციელებინა მთარგმნელობითი საქმიანობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ერთმანეთისაგან გამიჯნა მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება და თარგმანმცოდნეობა. ასევე აღინიშნა, რომ 3 დარგობრივი კურსის არსებობა - ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები, მწერლობის მორფოსინტაქსური პრობლემატიკა 1 და 2, ასევე არჩევით კურსად შეთავაზებული თარგმანის ლინგვისტიკა და ინგლისური ენა C2 დონეზე, აძლევდა დოქტორანტს ცოდნას მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელებისთვის. ამას ემატებოდა მოთხოვნა, დოქტორნტის მიერ მოძიებულ, თარგმნილ და გაანალიზებულ ყოფილიყო უცხოური ლიტერატურა. შესაბამისად, ყოველივე აღნიშნული გულისხმობდა მხოლოდ პრაქტიკული უნარის შეძნას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ აღნიშნული არ იყო სიახლე და ყველა დოქტორანტს მოეთხოვებოდა უცხოურ ლიტერატურასთან მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, რამდენად მოდიოდა ერთმანეთთან შესაბამისობაში განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ერთიმხრივ უნივერსიტეტი აცხადებდა, რომ დამსაქმებელი ითხოვდა მთარგმნელს, ხოლო მეორემხრივ აცხადებდა, რომ, მას არ ჰქონდა პრეზენტია მთარგმნელთა მომზადებაზე.

საბჭოს თავჯგომარემ, განაცხადა რომ იკვეთებოდა ორი მნიშვნელოვანი საკითხი. ერთი, პროგრამის მიზნების შესაბამისობა შედეგებთან და მეორე - ქვეუნარების გამომუშავება, რომელიც ხორციელდებოდა, თუმცა შესაძლოა შესაბამისობაში არ მოდიოდა პროგრამის მიზნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ კურსების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, მათი პასუხი იყო ის, რომ პერიოდულად ხდებობდა კურიკულუმის განახლება და ახალი კურსების დანერგვა. შემუშავებულ იქნა ისეთი კურსები როგორიც იყო - ქართული მინიატურული პროზა მსოფლიო ლიტერატურის



ჭრილში, ენის ფილოსოფია, სტილისტიკა და მსგავსი აქტივობები შემდგომშიც იქნებოდა განხორციელებული. ამასთანავე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა მოსაზრებას, რომ არსებული სავალდებულო და არჩევითი კურსები უარყოფით ზეგავლენას არ ახდენდა შედეგზე გასასვლელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიგიტალური ჰუმანიტარია იმდენად ახალი იყო საქართველოსათვის რომ შესაძლებელი იყო საჭიროების შემთხვევაში, მომავალში მისი დანერგვა არჩევით კურსად, თუმცა აღნიშნული თვალსაზრისით მათ დოქტორანტებს ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება საზაფხულო სკოლიდან - ციფრული კვლევის მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებაში - საიდანაც მიღებული ცოდნა გამოყენებულ იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომების ტექსტში ლექსიკის გამოყენების რაოდენობრივი სტატისტიკური ანალიზისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც სავალდებულო კურსი საკმარისი არ იყო კვლევითი უნარების დასახვეწად, განაცხადა, რომ გამოიყენებოდა ყველა მეთოდი კვლევისა, როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი და იმ გათვალისწინებულ საათებს, რომლებსაც ექსპერტები მცირედად მიიჩნევდნენ, ემატებოდა ანალიტიკური რეფერატის მომზადება და წარდგენა. წარმომადგენელმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ მას საჭიროდ არ მიაჩნდა კვლევითი მეთოდოლოგის ირგვლივ დამატებითი კურსის შექმნა. წარმომადგენელმა, სილაბუსში არსებული ლიტერატურის გამდიდრების შესახებ განაცხადა, რომ სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო გიორგი ახვლედიანის ცნობილი მონოგრაფია - ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თუმცა გამორჩენილი იყო მისი მითითება კურსში, რაც განპირობებული იყო ტექნიკური შეცდომით.

ექსპერტმა წაიკითხა დასკვნის ის აბზაცი, სადაც ეწერა, რომ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური კურსების უმრავლესობა ორიენტირებული იყო პედაგოგიკის და ენი სწავლებაზე. მაგრამ საგნების სპეციფიკა საკმარისი არ იყო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციის შესახებ პასუხისას, რომელიც გულისხმობდა სილაბუსების ურთიერთგადამფარავი თემატიკისაგან გათავისუფლებას, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ასპექტები იყო არჩევითი კურსი, ხოლო ძველი ქართული მწერლობის ძირითადი ასპექტები იყო სავალდებულო საგანი. იმდენად რამდენადაც ამ ორი საგნის ინტერესთა სფერო იყო განსხვავებული, საგნები განსხვავებულ ჭრილში განიხილავდნენ თემატიკას, შესაბამისად გადაფარვა არ ხდებოდა. რაც შეეხებოდა დოქტორანტის ხვედრითი წილის განსაზღვრას ხელმძღვანელთან თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების არსებობისას, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქ ადგილი ჰქონდა ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან მინიმალური სტანდარტის ფარგლებში წარმოდგენილი ნაშრომები დოქტორანტებს შესრულებული ჰქონდათ დამოუკდებლად. გარდა ამისა ქართულ სამართლებრივ სისტემაში არ არსებობდა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ავტორთა ხვედრით წილს. პედაგოგიკის საათების შემცირებასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნების უმეტესობა იყო არჩევითი და მიზანშეწონილი იყო, იმდენად, რამდენადაც დოქტორანტს, პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა ემუშავა უმაღლეს სასწავლებელში. საგანი - ენათა

სწავლების თეორიები და მეთოდები კი უცხოენების სწავლება-გამოყენებაზე იყო ორიენტირებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ პედაგოგიკას ჰქონდა თავისი ადგილი, თუმცა პროგრამისათვის კვლევითი უნარები მეტად მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ ლიტერატურა, რომელზე დაყრდნობითაც ამზადებდნენ პედაგოგის კურსში, არ იყო რელევანტური შესაბამისი შედეგების მიღებისათვის. ამასთანავე, კურსებში მითითებული ლიტერატურა ორიენტირებული იყო პროფესიულ განათლებაზე და არა უმაღლესი განათლების პედაგოგიკაზე, შესაბამისად არსებობდა აცდენა მეთოდოლოგიაში. მან აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამებში შეიტანდნენ რელევანტურ ლიტერატურას და სწავლის შედეგები იქნებოდა რელევანტური.


საბჭოს წევრი ირინე გოცირიძე დაეთანხმა საბჭოს წევრს, სოფიკო ლობჟანიძეს და ხაზი გაუსვა მიზნებზე ორიენტირებული ლიტერატურის არსებობის აუცილებლობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენიშვნა გასათვალისწინებელი იყო და სილაბუსები მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ქართული ლიტერატურის მოდული სწავლების მესამე საფეხურზე, მოიცავდა ქართულ ლიტერატურის ერთი ნაწილის ინტენსიურ სწავლებას ხოლო მეორეს - სრულ იგნორირებას. ქართული ლიტერატურა შედგებოდა 3 ნაწილისაგან - ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ნაწილებისაგან. ძველ ქართულ ლიტერატურაში ისწავლებოდა ორი კურსი ერთიდაგივე საკითხებით, ერთი კორნელი კველიძის მოსაზრებების მიხედვით, მეორე ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებების მიხედვით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა ისტორიულ ჭრილზე, რაც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ისტორიკოსის მომზადებას მიზნად არ ისახავდა - არარელევანტური იყო. ხოლო უახლესი ქართული ლიტერატურა საერთოდ არ შედიოდა სასწავლო კურიკულუმში. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არ შეიძლებოდა ლიტერატურის ერთი ნაწილი ღრმად ხოლო მეორე საერთოდ არ ყოფილიყო შესწავლილი. ამასთანავე, ექსპერტმა განსაკუთრებით აღნიშნა დოქტორანტის შრომის ხვედრით წილი დისერტაციაში და თქვა, რომ როცა დოქტორანტი აქვეყნებდა სტატიებს თანაავტორობით და შემდგომ ისინი ერთიანდებოდა მის სადოქტორო ნაშრომში ხარისხი ენიჭებოდა მას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგანაც აღნიშნული საკითხი არ იყო კანონით რეგულირებული და ამასთანავე ბევრ სხვა უნივერსიტეტში მსგავსი პრაქტიკა არ ფიქსირდებოდა, განხილვისას შესაძლოა გამოყენებულ ყოფილიყო საერთაშორისო პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა შემოიფარგლებოდა ძველი XIX- XX საუკუნეების ლიტერატურით, იმდენად რამდენადაც ძველი გამოცდილება და პროექტები ეხებოდა ქართული მინიატურული პროზის კვლევას და ეს სფერო ამჟამად ამოწურულად არ მოიაზრებოდა. თუმცა გვერდის ავლა არ ხდებოდა არც თანამედროვე ლიტერატურისთვის. ამასთანავე დაამატა, რომ დოქტორანტების მიერ სამივე სტატიის მომზადება არ ხდებოდა თანაავტორობით. შესაძლებელია 7 ან 8



პუბლიკაციიდან რამდენიმე ყოფილიყო თანაავტორობით, თუმცა მინიმალური სტანდარტის ფარგლებში 3 პუბლიკაცია აუცილებელი იყო შექმნილიყო დამოუკიდებლად.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არსებობდა პრაქტიკა, როცა დოქტორანტები აქვეყნებნენ შრომებს თანაავტორობით, თუმცა ყოველივე ეს რეგულირდებოდა ეთიკის კოდექსით, რომელიც განსაზღვრავდა თითოეულის წვლილს მუშაობის პროცესში. თუმცა მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დოქტორანტს არ ჰქონდა უფლება მეორე დოქტორანტის დასკვნები გამოეყენებინა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვა ამ შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე, რომელიც ითვალისწინებდა მენეჯმენტის კურსის ჩანაცვლებას და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ამ დამოკიდებულებას არ იზიარებდა, რადგან კურსდამთავრებულები შესაძლოა გამხდარიყვნენ ერთდოულად მკვლევარებიც და მენეჯერებიც, ამიტომაც აღნიშნული კურსის არსებობა მნიშვნელოვანი იყო. ხოლო დიგიტალური ჰუმანიტარიის სწავლებასთან დაკავშრებით მან აღნიშნა, რომ მომავალში შესაძლებელი იყო ამ საგნის არჩევით კურსად დანერგვა ან იმ სიღაბუსის გადახალისება, რომელიც ნაწილობრივ მოიცავდა აღნიშნულ თემატიკას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პრობლემები არსებობდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებში, რომელიც მოითხოვდა ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნას, თუმცა პროგრამაში იყო საგანი, რომელიც ითხოვდა ინგლისური ენის C2 დონეზე ცოდნას, რაც წარმოადგენდა გარღვევას პროგრამაზე მიღების წინაპირობაში და საგნის გავლის შესაძლებლობას შორის. მან ასევე აღნიშნა, რომ ტესტი, რომელიც პროგრამაზე მიღების დროს ამოწმებდა ინგლისური ენის ცოდნას, არ ითვალისწინებდა გავრცელებულ პრაქტიკას უნარების შემოწმებისას ოთხი მიმართულებით - წერა, კითხვა, მოსმენა, მეტყველება. ამ შემთხვევაში კომპონენტებიდან ამოვარდნილი იყო მეტყველების და მოსმენის შემოწმება.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი არ ითხოვდნენ სტუდენტებისაგან TOEFL -ის ტესტის ჩაბარებას, თუმცა სტუდენტებს შეეძლოთ წარედგინათ ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. ინგლისური ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა საჭირო იყო, იმდენად რამდენადაც სხვა შემთხვევაში დოქტორანტს გაუჭირდებოდა პროგრამის დამლევა, რადგან თავად პროგრამა ვერ დავიდოდა ენის კომპეტენციაზე, ხოლო კურსი რომელიც ითხოვდა ინგლისური ენის C2 დონეზე ცოდნას, წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსების ბლოკში.

სხდომის თავჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთლიანად პროგრამაზე იგეგმებოდა 5 დოქტორანტის მიღება.



საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, ითხოვდა თუ არა უნივერსიტეტი ინგლისური ენის C1 დონეს, იმ დოქტორანტებისაგან, რომლებიც აბარებდნენ ქართული ენის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოთხოვნა ეხებოდა ყველა სტუდენტს თანაბრად.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როგორ ახერხებდნენ სწავლებას ჩამონათვალში მყოფი ისეთი კადრები, რომლებიც განათლებით იყვნენ მედიკოსი, ინფორმატიკოსი და ეკონომისტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მედიკოსის განათლება წარმოადგენდა პირველად განათლებას, ხოლო შემდგომ აღნიშნულ კადრს მოსკოვში დასრულებული ჰქონდა ლინგვისტიკის უმაღლესი სკოლა და თელავის უნივერსიტეტში დაცული ჰქონდა დისერტაცია.

17:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:45 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 12

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავჯდომარემ დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საბჭო მიიჩნევდა, რომ იმისათვის რომ პროგრამას მომავალში შეძლებოდა ფუნქციონირება, მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ადაპტური ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია, 0906 (აღნიშნული ფორმულირებით საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაცია არ არსებობს)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ 7 თებერვლის სხდომაზე საკითხის განხილვის გადადება განპირობებული იყო ექსპერტთა არ ყოფნით, რომელთა პასუხებიც საჭირო იყო გარკვეულ საკითხებში უკეთ გასარკვევად. მან სთხოვა ექსპერტებს წარედგინათ პროგრამის ირგვლივ არსებული ძირითადი პოსტულატები და შეფასებინათ პროგრამა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მთავარი რეკომენდაცია ეხებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სწორედ მისანიჭებელი კვალიფიკაციის გარშემო არსებული საკითხი იყო ის ძირითადი საკითხი, რომელიც საბჭოს ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათ



შეცვალეს მისანჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც არ მოდიოდა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, თუმცა ამის შემდგომ პრობლემური საკითხი გახდა სწორედ პროცედურული საკითხი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია მკაცრად იყო განსაზღვრული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში აცდენაში იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და მიუხედავად პროგრამის დადებითი მხარეებისა მნიშვნელოვანი იყო ამ ტექნიკური საკითხის აღნიშვნა. შინაარსობრივი კუთხით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შენიშვნები პროგრამასთან მიმართებაში ექსპერტებს არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს გამოეთქვათ აზრი იმასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ კი არ იქნებოდა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პროცედურული ხარვეზი, შეძლებდა თუ არა პროგრამა არსებული შინაარსის ფარგლებში მიეღო სტუდენტები და ხომ არ გაუჭირდებოდა პროგრამას საბოლოო შედეგზე გასვლა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო დიდი პოტენციალის მქონე და მას შეეძლო ფუნქიონირება. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება აცხადებდა რომ გაითვალისწინებდა იმ რჩევებს, რომლებიც ექსპერტთა მხრიდან არსებობდა პროგრამის ორგვლივ. ყველაზე დიდი პრობლემა, იყო მხოლოდ მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შეკითხვა დაუსვა ექსპერტებს, იმასთან დაკავშირებით რომ, შენიშვნა არსებობდა მეორე პუნქტშიც, იყო თუ არა ეს გავრცელება პირველი პუნქტისა მეორეზე, ამ პუნქტების ურთიერთკავშირის გამო, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი იყო დაშვების წინაპირობებზე ორ ადგილზე, რომელებიც გასწორებულ იქნა.

საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას, მათ ჰქონდათ დრო პროგრამის კიდევ უფრო დასახვეწად. მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში აღნიშნული შენიშვნები და ეთანხმებოდნენ მათ.


საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში იურიდიული ვადები იყო ის გარემოება, რომელიც იკვეთებოდა შემაფერხებელ ფაქტორად აკრედიტაციისთვის. კერძოდ, არც ექსპერტთა ჯგუფს და არც საბჭოს არ ჰქონდა შესაძლებლობა მხედველობაში მიეღო ვიზიტის განხორციელების შემდგომ მიღებული შესწორებები პროგრამასთან მიმართებით. ცენტრის მოცემულობის თანახმად მათ უნდა ეხელმძღვანელათ პირვანდელი დოკუმენტაციით რომელიც ცენტრს მიეწოდა სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად.

18:07 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:



მომხრე - 0  
წინააღმდეგი - 12

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“<sup>275</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას განაპირობებდა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც არ მოდიოდა შესაბამისობაში ეროვნულ საკუთრივი კვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ასევე არ იყო სწორად განსაზღვრული ის შეცვლილი კვალიფიკაციაც, რომელზეც დაწესებულებამ განაცხადა. საბჭოს რეკომენდაცია დაწესებულებისადმი იყო რომ იმ შემთხვევისათვის თუ კი დაწესებულება კვლავ დაგენერირდა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენას, მათ სწორად უნდა განესაზღვრათ კვალიფიკაცია და ასევე, უნდა გაეთვალისწინებათ ის რჩევები და რეკომენდაციები რაც მათ საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ მისცა პროგრამის პირველი განხილვისას (7 თებერვლის ოქმშია ასახული).

18:50 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული

მდივანი:

გიორგი ოდოშაშვილი